საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

დევნილთა,შრომის,ჯანმრთელობისა

და სოციალური დაცვის მინისტრს ქ-ნ ეკატერინე ტიკარაძეს

გერმანული კომპანია CDH Consulting Dienstleistung Handel GmbH

შ.პ.ს „მედსერვის ჯორჯია“ საქართველო

მ ი მ ა რ თ ვ ა

გვაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ გერმანიის რეზიდენტი კომპანიის შპს CDH Consulting Dienstleistung Handel GmbH, რომლის სათავო ოფისი განთავსებულია გერმანიის ქალაქ ჰამბურგში. წარმოგიდგენთ კომპანიის საქმიანობის მოკლე მიმოხილვას და ამ საქმიანობის ფარგლებში კომპანია CDH-ის ინტერესებს საქართველოს ტერიტორიაზე.

უპირველეს ყოვლისა, გაუწყებთ რომ CDH-ის ოპერირების ძირითადი მიმართულებაა:

-სამედიცინო მომსახურეობა:

-სამედიცინო პრეპარატების შეძენა-მიწოდება ევროპის რეგიონში განთავსებული სახელმწიფოების რეზიდენტებზე:

-სამკურნალო გამაჯანსაღებელი სერვისების ორგანიზება და სათანადო ბენეფიციარებისათვის შეთავაზება.

კომპანია CDH-ს განზრახული აქვს, მისი ბიზნესი გაიტანოს საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოს ბაზარზე. სამედიცინო სფეროში შემოვიდეს თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიებით, ტექნიკითა და მაღალკვალიფიციური კადრებით. ამ მიზნით კომპანია მზად არის საწყის ეტაპზე, განახორციელოს ნახევარი მილიარდი დოლარის ინვესტიცია, რომელიც შემდგომ პერიოდში, საქართველოსა და კავკასიის რეგიონების სახელმწიფოებში ბაზრის ათვისების კვალობაზე, კვლავ გაიზრდება.

ზემოთხსენებული მიზნობრიობის განხორციელების ფარგლებში, საქართველოში დავაფუძნეთ კომპანია შ.პ.ს „მედსერვის ჯორჯია“ რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე /გარდაბნის რ-ნი სოფ:გამარჯვება ს/კ 81.07.04.216, შეიძინა მიწის ნაკვეთი. აღნიშნულ ტერიტორიაზე იგეგმება მულტიფუნქციური სამედიცინო პროფილის მქონე კომპლექსის მშენებლობა, რომელიც თავდაპირველ ეტაპზე 600-700 საწოლით იქნება უზრუნველყოფილი. გათვალისწინებულია სამედიცინო პრეპარატების სასაწყობე და სავაჭრო ობიექტები,შესაბამისი სასაწყობო მეურნეობის შენობები, სამედიცინო-კვლევითი სამეცნიერო ლაბორატორიები, ამ კომპლექსში დასაქმებული უცხოელი სპეციალისტებისათვის საჭირო საცხოვრებელი და სასტუმრო კომპლექსი და ა.შ. სამედიცინო მიმართულების, სამუშაო კონცეფციის კოორდინატორია და ხელმძღვანელი კომპანია UKE Consult und management Gmbh და მისი დირექტორი მედიცინის დოქტორი ქრისტიან ტაუბე.

ამ პროექტის განხორციელების ფარგლებში აღნიშნული ნაკვეთის განვითარების კონცეფცია და გდგ-ს გეგმარებითი დავალება უკვე მიღებული გვაქვს. ეხლა მიმდინარეობს გდგ-ს გეგმის შეთანხმება და შეტანილია გდგ-ს პროექტი.

ამ ეტაპზე გვჭირდება მხოლოდ თქვენი პოზიცია აღნიშნული პროექტის განხორციელების შესახებ. და თხოვნა რომ უმოკლეს ვადაში მოხდეს პასუხის გაცემა. აქვე ავღნიშნავთ რომ წარმოდგენილი საავადმყოფოს შიდა გეგმარებითი ნაწილის შეთანხმება /შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან / ისედაც უნდა მოხდეს ჯანდაცვის სამინისტროსთან, რომელსაც წარმოგიდგენთ უკვე თითონ პროექტების შეთანხმების ეტაპზე.

გთხოვთ... რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში მოახდინოთ გდგ-ს გეგმის განხილვა და შეთანხმება. რადგანაც დაჩქარებული წესით მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა და ეს ყველაფერი პირდაპირ ბმაშია პროექტის დაჩქარებული წესით განხორციელებისათვის. ასევე მიმდინარეობს მომიჯნავე ნაკვეთზე დამატებითი კლინიკის რომელიც უშუალოდ ვირუსული პაციენტებისათვის იქნება გათვლილი საპროექტო წინადადების მომზადება. ნაკვეთის შემდგომი გადმოცემისათვის. რაზედაც უკვე მივმართეთ ეკონომიკის სამინისტროს.

წინასწარ გიხდით მადლობას

ღრმა პატივისცემით:

შპს მედსერვის ჯორჯიას დამფუძნებელი,

რამაზ თურმანიძე

CDH-ის გენერალური დირექტორი,

მარიამ მაგომედოვა

თარიღი:23.03.2020

პროექტის მიმართულების კოორდინატორი

ელგუჯა პატაშური

ტელ:577500602

38999 კვ.მ	შ.პ.ს "მედსერვის ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებული ნაკვეთი
30639 კვ.მ	მესაკუთრე - სახელმწიფო



38999 კვ.მ

შ.პ.ს "მედსერვის ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებული ნაკვეთი

30639 კვ.მ

მესაკუთრე - სახელმწიფო

არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები

შ.პ.ს "მედსერვის ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებული ნაკვეთის განვითარების კონცეფცია





არსებულ მიწის ნაკვეთზე გაცემულია გდგ-ს დავალება და მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმის წარმოება გდგ-ს შესათანხმებლად. მომიჯნავე მიწის ნაკვეთის შემოერთების შემთხვევაში იზრდება სამშენებლო მოცულობა, კერძოდ მოხდება დამატებით საავადმყოფო კორპუსის დაგეგმვა, ასევე იზრდება საცხოვრებელი და სასტუმრო მოცულობები. გარდა ამისა, მომიჯნავე მიწის ნაკვეთის შემოერთება შესაძლებლობას იძლევა კომპლექსისთვის მეტად ჯანსაღი არქიტექტურულ-გეგმარებითი გარემოს შექმნისთვის.

შ.პ.ს "მედსერვის ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებული ნაკვეთის განვითარების კონცეფცია

ტერიტორიის განვითარების კონცეფცია მომიჯნავე მიწის ნაკვეთის შემოერთების შემთხვევაში